

პარტია

ფასი 15 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ. ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე შემოთხვე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. საშუალოდ განცხადება უნდა მოტანილი იქნას არა უფროსი დღის 11 ნახ. ს. ხელმოწერილი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგანეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერილ წერილს კისრულობს.

ხელის მოწერილებს უკან ვერ დაუბრუნებთ. სით უნდა გამოგზავნოთ: Тифлиси, Почта-ящик № 199. Редакция „Партия“ საქართველოს ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადად მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлиси. Головинский проспект № 12. ტელეფონი 16—62.

№ 227 ორგანო აგიარ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიული გუბერნიის ორგანიზაციისა № 227

სპირიტონ ოტისა და ქიონია სვიმონის ასული ბენდუქიძე შეიღებოთურთ, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ დეკემბრის 30 დღის 10 საათზე გადახდილი იქნება სოფელ ბაჯში წმ. მთავარ-ანგელოზის ეკლესიაზე ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი მარად დაუვიწყარი პირველის ძმის, მეორის მამის და მესამის ბიძის ვერაგულათ მოკლულ ლავრანტი ოსიას ძის ბუნდუქიძის სულის მოსახსენებლათ.

მეუღლე ნადეჟდა ნიკოლოზის ასული, მშობლები ოტია გრიგოლის ძე და ქრისტინე გაბრიელის ასული, ძმები ალექსანდრე და დომენტი ბენდუქიძე, და სიდორე-სიმონი ოლა და ნიკოლოზ ლევიშვილები, დები და სიძეები: ივლიტა ოტის ასული და დავით ნიკოლოზის ძე სოხაძე შეიღებოთურთ, თეოდორა ოტის ასული და ლუკა აპოლონის ძე სურგულაძე შეიღებოთურთ და მარიამ ოტის ასული და რაქინე ლუკას ძე მიღებამდ შეიღებოთურთ, აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ, რომ დეკემბრის 30 დღის 10 საათზე სოფელ ბაჯში, წმ. მთავარ-ანგელოზის ეკლესიაში გადახდილი იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ვერაგულათ მოკლულ ლავრანტი ოსიას ძის ბუნდუქიძის სულის მოსახსენებლათ.

დღეს საღამოს 7 ს. სატრანსპორტო აუტოტის მენობაში (გოლოვინის პროსპექტი № 6) დანიშნულია მითითებ ჩაიკონის რ. ს. ზ. მ. პ. წამართა კრება

ახს. ნოე უორდანიას გაბათილებ მოხსენაებას
შემდეგ თემაზე:
პოლიტიკური ელგოა-რეობა და მშენი პარტია
განიხილავენ მიმდინარე საქმეებს. შესვლა საუფრო ბარათებით.

დავკარგე
23 დეკემბრის № 21 მატარებელს შემთხვევით გაკეცა ერთი ყუთი—ტურქულბით და ქვეშავეები ნოხში გახვეული. 25 დეკემბრის ჯიბიდან ამოხაველს 90 მან. ფული და მასთან ერთად სამხედრო თავისუფლების მოწმობა მოცემული ახალ-სენაკის სამ. საკრებულოსაგან და ნებართვა რევოლუციის ტარებისა. მმოგწმულს ესთხოვ ფული თვითონ დაიბრუნოს და დანარჩენი ნივთები უკან დაიბრუნოს შემდეგი მისამართით: ст. Акстафа, Левану Корсва. 2—1

ნავთულის სასურსათო ბენქტი იწყებს მუშაობას
ფურნაეზი საეუბრო
და აგრეთვე სხვა საოჯახო საქმეთა საქარობისათვის.
ჯამაირი ექნებათ 100 მან. და ას მანეთზე მეტიც, ამავე დროს მიეცემათ დაწესებულ ფისებში ბური და სხვა სასურსათო პროდუქტები. მსურველთ ესთხოვთ გამოცხადდენ ნავთულის სასურსათო ბენქტში, სად. ნავთულის პირდაპირ, დღის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე. 3—3

დ. თფილისი უსაქმოდ დარჩენილ გუბერნიის საუბრადგათ.
ქალაქის შრომის ბირეაში შემოდის მითხოვნილება სხვადასხვა დარგის მუშათა საქარობაზე.
შრომის ბირეა
წინადადება აქამდე ყველა ადგილობრივ უსაქმოდ დარჩენილ გუბერნიის რეაქციონ ბირეაში.
ბირეა ღია ყოველ დღე (გარდა კვირა უქმე დღეებისა) დღის 10 საათ. დღის 8 საათ.
ბირეა მითხოვნილება მადათვის კუნძულზე ზუბალოვის სახლში № 11, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. 3—1

განხილავა არმიის საბჭოში
ბალშევიკების მოქმედების სტიქია განხილავა. გარეშე რასკოლისა მათ არსებობა არ შეუძლიათ. მთელი მათი ისტორია—ეს გამუდმებული გათიშვა, გაყოფვა დაწყოლება. საერთო დემოკრატიული მუშაობა მთელ დემოკრატიასთან მათ არასოდეს არ უწარმოებიათ, ამ რევოლუციონარულ ისინი არ დალატებენ თავის ბუნებას. დღიდან თებერვლის გადატრიალებისა მათი მოქმედება გამოიხატებოდა მხოლოდ განხილავების მზადებაში, დემოკრატიულ ორგანიზაციისადმი შეუპოვებელ ოპოზიციის გაწევაში, სანამ ამ ორგანიზაციებს ორათ არ გააპოვებენ.
ამიერ კავკასია აქამდე თავისუფალი იყო ასეთ დამლუპველ ექსპერიმენტებისაგან. არა იმიტომ, რომ ივინი არ ახდენდენ განხილავებს, არამედ მათი სისუსტის და სიუძლირის გამო. მათი ერთობა, გატალღებული დემოკრატიისგან არ სჩანდა, ცხოვრებას კვალს ვერ აჩენდა, დემოკრატიის მთლიანობას ზიანს ვერ აყენებდა.
ამ რიგით სწარმოება ჩვენში მუშა-

გაწეობას კავკასიაში. ივინი ამ მოზანს ერთგულათ ემსახურებოდენ ჯერ არმიის ყრილობაზე, რომელიც მხოლოდ არაბალშევიკურ ნაწილის ცდითა და დათმობების წყალობით გადარჩა დაშლას. ამასვე ესწრაფოდენ, როცა მუშათა ყრილობიდან ბალშევიკები გაიყვეს, იმ მოსაზრებით, რომ მათ თითოს 4—5 ხმა არ მიენიჭა. ამასვე შეუდგენ, როცა სარბიო სამუშაო ამოყვეს თავი. პირველ დღეებიდანვე მათ მ. ცხაკაიას პირით განაცხადეს, რომ კავკასიაში ისინი არიან ერთად ერთი ორგანო, საიდანაც უნდა დაიწყოთ საერთო პოლიტიკური ცენტრის შექმნა. რომ მუშათა და გლეხთა ცენტრები, ეს მხოლოდ ფიქციაა და სხვ. ამრიგათ თავის თავის ერთად ერთ დემოკრატიულ და პოლიტიკურ ცენტრათ გამოცხადება და ასე პოლიტიკურ ხელმძღვანელობის თავის ხელში ჩაგდება, არა დაედა საფუძვლათ მათ მუშაობას.

უნდა შევიარაღდეთ
მდგომარეობამ ისეთს პირობებში ჩაგვყენა, როგორცაა ასის წლის წინეთ ჩვენს წინაპრები იმყოფებოდენ. იმ დროინდელი ქვეყნის ბატონ-პატრონი იძულებული იყვენ თურქ-პარსთა აწიოკებისგან თავის დასახსნვით რუსეთის იმპერიას შეფარებოდენ. რასაკვირველია, თუ მაშინ ქართველ ხალხს სათავეში ედგენ მეფე და დიდებულნი, დღეს ეს ხალხი თვით არის თავის ბედის გამომკედი, თავის თავის ბატონ-პატრონი. ამ მხრით ძველ დროსა და დღევანდელ დღეს შორის დიდი განსხვავებაა.
მაგრამ, რაც შეეხება ხალხის არსებობის საქმეს, აქ ვიმეორებთ, ისეთივე მდგომარეობაა, როგორც ამ ასი წლის წინეთ იყო: როგორც მაშინ, ისე ახლა ჩვენ ყოველის მხრიდან რკინის სალტესავით გარს გვარტყია ველური ტომები, როგორც მაშინ, ისე ახლაც ჩვენ მოკლებული ვართ თავდაცვის საშუალებას. საკმაო რაოდენივე კუთხიდან დაიბრას შეიარაღებული ბრბოები, რომ ჩვენს ქონება, ჩვენი პირადი არსებობა საფრთხეში ჩაივარდეს, განაღებდეს ჩვენი კულტურა, დიდუბოს ყველაფერი ის, რითაც ვამაყობთ.

როგორ უნდა დავიცვათ თავი? დღეს მთელი ქვეყნის ზურგზე ბურთუხილულ-თავდა-ახნაურული მთავრობა გამეფებული, ასეთს მთავრობას თავდაცვის საუკეთესო იარაღათ მუდმივი ჯარი მიიჩნია.
ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, მუდმივი ჯარის წინააღმდეგი ვართ. ჩვენ ვიცით, თავი მუდმივი ჯარის მოვალეობა უმთავრესათ შინაურ მტრების წინააღმდეგ გამკლავება, საქარობის დროს მუშების და გლეხების აღაგება.
ამიტომ ვიცავთ ჩვენ მუდმივი ჯარის ნაცვლათ სახალსო მილიციის საქარობას. მთელი ხალხის შეიარაღება—ი ჩვენი იდეალია.
მაგრამ დრო არ ითმენს. სანამ ჩვენ მილიციას მოვაწყობდეთ, სანამ მთელს ხალხს შევიარაღებდეთ, ვინ იცის რომელი მხრიდან მოგვადგება მტერი და ჩვენს აობრებას შეუდგება. ჩვენ ვერ

მიიღება ხალხს მთავარ 1918 წლისათვის ყოველ დღიურ გაზეთი

„პარტია“-ზე

ხალხს მოვარის პირობები:

ერთი თვით — 4 მან. 50 კაპ.
ორი თვით — 9 მანეთი.
სამი თვით — 13 მან. 50 კაპ.
ექვსი თვით — 27 მანეთი
ერთი წლით — 50 მანეთი
ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ.

ხალხს მოვარის პირობები 1 პარიკლამე (ე. ო. პირველ სამ თვეს) ყოველ შემთხვევაში უცვლელი დარჩება, შემდეგ შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობა გამოიწვია.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлиси почт. ящик № 199. РЕДАКЦИЯ „ПАРТИЯ“.

ამხანაგებს და თანამგრობნთ ვსთხოვთ ხელის მოწერას ნუ დაუყოვნებენ.

ალლოს აულებს და ძმათა სისხლის ღირის გამოსაწვევით არ გამოკევა. ყოველ შემთხვევაში ყველა მუშამ, ყველა დემოკრატმა, ყველა რევოლუციონერმა უნდა იცოდეს, რომ ასეთ ცდას ჩვენ მივიღებთ, როგორც დამჯერლ ექსპედიციებს შემოვიყვას. როგორც ლენინის თვითმპყრობელობის ჯალათურ ზომას, რომელიც ალიბანოვ-ავასკებისა და კრილოვისაგან გამოვიციდა.
ყოველი ასეთი ცდა ამიტომ შესაფერ პასუხს გამოიწვევს, როგორც კონტრ-რევოლუციური და შავრახული ლონისძიება. კავკასიის და კერძოთ თფილისის დემოკრატიის შესწავლა ძალა, რომ მომხდურს ღირსეულად დაუხვდეს.
ეს უნდა განსაკუთრებით კარგათ შეიგონ ბალშევიკმა მუშებმა, რომელთა ვალია ასეთ ავანტიურაზე ხელი ააღებინონ თავის გაბოროტებულ და გონება დაკარგულ ლიდერებს.

მოვიციდით მანამდის, სანამ სახალხო მილიცია შემდგომდეს.
ამიტომ საჭიროა საშუალო გზა ავირჩიოთ: უნდა დაუყოვნებლოდ დაეყენოთ თოვ ქვეშ ახალგაზრდების განსახლურული რიცხვი, მაგრამ ამას არ უნდა ჰქონდეს მუდმივი ჯარის ხასიათი. თავდაპირველათ მნიშვნელობა აქვს სასახლურის ვადას და ადგილს. სასახლურის ვადა ერთობ მოკლე უნდა იყოს, ის არ უნდა აღემატებოდეს რამდენიმე თვის. გარდა ამისა, ყოველივე მოქალაქე უნდა მსახურებდეს თავის სამშობლო სოფელში, თავის მამარში. ვიმეორებთ, ეს არ იქნება მუდმივი ჯარის შექმნა, რადგან ის იქნება დროებითი, სანამ ქვეყანა დამშვიდდებოდეს და საყოველთაო სახალხო მილიცია შედგებოდეს, ეს იქნება პირველი და აუცილებელი ნაბიჯი მუდმივი მილიციის შემოსაღებათ გადაღებული.
ხალხი დაიქანცა. სამ წლინახევრის ომმა, ცხოვრების სიძვირემ, სურსათის უქონლობამ წელში გასწვიტა, როგორც ჯარისკაცი, ისე მშვიდობიანი მოქალაქე. ამიტომ ყველას მოსვენება ენატრება.
ცხადია, ჩვენ არც უნარა შეგვეწვეს რომელიმე სახელმწიფოს ვეიშოთ და არც სურვილი გვაქვს ამის.
მაგრამ წესიერების დაცვა შინ, ჩვენი ქონების და ცოლშვილის გადარჩენა აწიოკებისაგან, ეს ჩვენი საარსებო მოთხოვნაა. და არა გვგონია ისეთი შეუგნებელი იყოს ვინმე ჩვენში, რომ თვით დაცვაზე ხელი აიღოს, თავის დაღუპვას გულგლათა უყუროს.

იგი თურმე ზავის მოწინააღმდეგე და ხალხის მტერია. თვით სახალხო დეპუტატები, თუ ისინი ლენინ-ტროცკის მართას და ხიშტს არ ეამბორებინან, ხალხის მოლაპარაკები თურმე გახდებიან. და ასეთ დამფუძნებელ კრებას ბალშევიკები თავის ტლანქი წაღებთ გადააბიჯებენ. მოკლეთ ნიკოლოზი ხალხისა და რუსეთის მტრათ თვლიდა ყველას, ვინც მის თვითმყრობელ მთავრობას არ ემორჩილებოდა, ლენინ-ტროცკის თვითმპყრობელობაც ხალხის მტრათ თვლიან ყველას, ვინც მათ არ ემორჩილება. არ არის მტრით გარეშე ბალშევიზმისა და ლენინის მისი მოციქული. მოიხარეთ ქვენი წინაშე მისსა...
„მტრები რუსეთის სოციალისტური (იგულისხმე ლენინი) მთავრობისა არიან იმავე დროს მტრები ზავის... დამფუძნებელ კრებაში უმრავლესობა ესერებს რჩებოდა და არა ბალშევიკებს. ცხადია, იგივე მტრათ უნდა გამოეცხადებინათ მოაგროვებს და—„იხვესტია“ № 254 სწერს: „ხალხის და ზავის მტრები თხოვლობენ დამფუძნებელ კრების მოწვევას: მათ იმეთ აქეთ, რომ უმრავლესობას მოაგროვებენ“. ხოლო როგორია ფიზიონომია ამ უმრავლესობის, ეს იქედან სჩანს, რომ ესერების ფრაქციამ ბიურო აირჩია და... თავმჯდომარეთ ერთხმათ გაიყვანა რუდენვი მოსკოვის ქალაქის თავი...“
ქვეშაობითი კაცი ლენინის ავანტიურათ დღეს იყოს, რომ ასეთ უფსურებამდე ჩამოქვითდეს...
ხალხმა ესერები აირჩია უმრავლესობაში და თურმე ამიტომ „მუშები, გლეხები და სალდათები გულ-დამშვიდებით, თავის სიმართლის სრული შეგნებით გადააბიჯებენ ასეთ დამფუძნებელ კრებას“. ვის გადააბიჯებენ ეს ჯერ კიდევ საკითხია; მარა თუ რუსეთის დემოკრატიის შერჩენია მთელი გონიერება, ვინმე ლენინის ავანტიურას, ივინი გადააბიჯებენ ლენინის აპეკს და არა თავის არჩეულთ, და ჩვენ გვწამს, რომ ხალხს ამდენი გონიერება კიდევ მოუპოვება.

საღლი თუ ლენინი?

განსვენებულ თვითმპყრობელობას ერთი თვისება ქონდა: რუსეთის ძველ, ისტორიულ საფუძვლათა მემკვიდრეობას ჩემობდა. რაც უნდა მომხდარიყო, ყველაფერს ამ „სტუტების“ საზომით ზომავდა. ყოველი მოქმედება მთავრობის ამ მთავარ საფუძვლის გამაგრებას მოასწავებდა, ყოველი ოპოზიციის ამ საფუძვლის შეგრეხვას, შემუსვრას, განადგურებას, რაც ამ ბატონთა აზრით მთელი ხალხის დაღუპვას უდრდა.
ლენინის „მთავრობასაც“ ასეთი ზნე დაეტყო თავიდანვე. ლენინის მთავრობა ნიშნავს თურმე ზავს. და ვინც ამ უპიკრავათ პასუხია სოციალისტების მთავრობას ეწინააღმდეგება, იგი ზავს ეწინააღმდეგება. ვინც ამ უსურბატორების ნაცვლათ, მაგალითათ საყოველთაო საარჩენიო უფლებათ არჩეულ დამფუძნებელ კრებას აძლევს უპირატესობას—

მთავრობის წინააღმდეგ

როგორც ვიცით ამიერ-კავკასია შედარებით მეტი რევოლუციური წესრიგით სარგებლობდა, ვინმე რუსეთის სხვა რომელიმე კუთხე. მხოლოდ უქანსკელ დღეებში ჯარის დემობილიზაციისა, აგრარულ რევოლუციის შემოღებისა და სასურსათო კრიზისის გამო აქა იქ იჩინა თავი შეუფუძნებლ ბრბოს გამოსვლამ, ექსცესები განსაკუთრებით მოედო ელიზავეტპოლის მიდამოებს.
სად იყო მთავრობა? კითხვობას ამის გამო კადეტების ორგანო, რათ არ დაუპირდაპირა მან ძალა ამ მოსალოდნელ ნივთს, რათ წინასწარ არ მიიღო ზომები? ჩვენ ვიცით, რომ წინასწარ ზომები განხილული იყო ძველი მთავრობა, მარა ეს წინასწარი ზომები მხოლოდ ამწვევებდა საქმეს. წინასწარი ზომები დამგომარობა არა ხიშტების ძალაში, არამედ დემოკრატიის შეგნებაში. უმისოთ, რევოლუციურ დღეების ხანაში ექსცესების თავიდან აცილება შეუძლებელია.

საღლი თუ ლენინი?

საღლი თუ ლენინი? განსვენებულ თვითმპყრობელობას ერთი თვისება ქონდა: რუსეთის ძველ, ისტორიულ საფუძვლათა მემკვიდრეობას ჩემობდა. რაც უნდა მომხდარიყო, ყველაფერს ამ „სტუტების“ საზომით ზომავდა. ყოველი მოქმედება მთავრობის ამ მთავარ საფუძვლის გამაგრებას მოასწავებდა, ყოველი ოპოზიციის ამ საფუძვლის შეგრეხვას, შემუსვრას, განადგურებას, რაც ამ ბატონთა აზრით მთელი ხალხის დაღუპვას უდრდა.
ლენინის „მთავრობასაც“ ასეთი ზნე დაეტყო თავიდანვე. ლენინის მთავრობა ნიშნავს თურმე ზავს. და ვინც ამ უპიკრავათ პასუხია სოციალისტების მთავრობას ეწინააღმდეგება, იგი ზავს ეწინააღმდეგება. ვინც ამ უსურბატორების ნაცვლათ, მაგალითათ საყოველთაო საარჩენიო უფლებათ არჩეულ დამფუძნებელ კრებას აძლევს უპირატესობას—

